ხელშეკრულება N 32

სოფელი მესხეთი 28.09. 2016 წელი

ერთის მხრივ, სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მსხეთის საჯარო სკოლა, შემდგომში „შემსყიდველი" წარმოდგენილი დირექტორის ნაზი სადილიანის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ეტალონი-მედია", შემდგომში „მიმწოდებელი" წარმოდგენილი მისი დირექტორის მანანა ღოღობერიძის სახით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე;

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანია 2016 წლის სექტემბრიდან 2017 წლის 30 ივნისის ჩათვლით (10 თვის განმავლობაში) საინფორმაციო სფეროში მომსახურების გაწევა, კერძოდ საინფორმაციო სააგენტო www.Etaloni.ge-ს მიერ შემსყიდველის საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურება;

1.2. საიტზე www.Etaloni.ge შემსყიდველის სიახლეების მათ შორის ღონისძიებების, შეხვედრების, კონფერენციების, ინტერვიუების და სხვა გაშუქება როგორც წინმსწრები, ასევე შემდგომი გაშუქება (შემსყიდველის მიერ მოწოდებული ინფორმაცია და ფოტოები); ყოველთვიურად - განუსაზღვრელი რაოდენობით;

1.3. შემსყიდველის საქმიანობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან თემებზე ინტერვიუების და მოკლე კომენტარების მომზადება და საიტზე www.Etaloni.ge განთავსება (წინასწარი შეთანხმებით, შემსყიდველის სურვილის შემთხვევაში); თვეში არაუმეტეს 1 (ერთი) ერთეულისა;

1.4. აღნიშნული მომსახურების ღირებულებას შემსყიდველი აანაზღაურებს იმ მოცულობით და პირობებით, რაც მოცემულია აღნიშნულ ხელშეკრულებაში.

1.5. კლასიფიკატორის (CPV) კოდი 92400000

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება განისაზღვრება 180 (ასოთხმოცი) ლარით.

2.2. ერთი თვის მომსახურების ღირებულებაა 18 (თვრამეტი) ლარი.

2.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.2. მომსახურების მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიწოდებული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან არაუმეტეს 10 (ათი) დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ან მიმწოდებელი ორგანიზაციისათვის. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ფორს–მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. სხვა პირობები

10.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

10.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

10.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაში შედის მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეების მიერ.

11. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის	შპს „ეტალონი-მედია“
სოფელ მესხეთის საჯარო სკოლა	ს/კ 204572024
მისამართი: წყალტუბო.სოფელი მესხეთი	ფაქტიური მისამართი: თბილისი, წერეთლის
ს/კ 221299832	გამზირი #116, დიდუბე პლაზა, ოფისი #201
ტელეფონი: 577 965527	იურიდიული მისამართი: თბილისი,
საბანკო რეკვიზიტები:	თაბუკაშვილის ქ. #41
ს/ს „საქართველოს ბანკი“	ბანკი: ს.ს. „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22	ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშსწორების ანგარიში:	ა/ა GE05TB7311836020100002
(GE62BG0000000119484100)	
დირექტორი ნ. სადილიანი	
/ნ. სადილიანი/	
	დირექტორი
	/მ. ღოღობერიძე/